ნათია მაკარიძე, თათია აკობია

ანკარის ილდირიმ ბეიაზითის უნივერსიტეტი, თურქეთი

20-24 ივლისს, Erasmus+ პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი ნათია მაკარიძე და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მენეჯერი თათია აკობია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ანკარის ილდირიმ ბეიაზითის უნივერსიტეტში, თურქეთი.

ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმიანობას, ადმინისტრაციულ და აკადემიურ სტრუქტურებს, სტუდენტურ სერვისებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს. ასევე, მოინახულეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტები და კვლევითი ინფრასტრუქტურა, სადაც მიიღეს ინფორმაცია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო შესაძლებლობების შესახებ.

ვიზიტი საქმიან გარემოში წარიმართა, რამაც ხელი შეუწყო გამოცდილების გაზიარებას, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობას და პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობების განხილვას.